აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№42 (25.066) სამშაბათი, 25 - 26 აპრილი, 2023 წ. 50 თეთრი

ბათუმის №30 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დასრულდა

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

გონიოს დასახლებაში არსებული ბათუმის № 30 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა და სასწავლო პროცესი განახლდა.

განახლებული სკოლა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან, მინისტრის მოადგილე ჯემალ სურმანიძესთან და ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძესთან ერთად დაათვალიერა.

განხორციელდა შენობის მთლიანი შიდა და ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, დამონტაჟდა ლიფტი, სრულად კეთილმოეწყო სკოლის ტერიტორია და ღია მოედანი. სამუშაოები 2022 წლის ივნისში დაიწყო.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ 1 800 000 ლარი შეადგინა.

აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

2023 წელს აშენდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 80 სკოლას და 25 000 მოსწავლისთვის გაუმჯობესდება სასწავლო გარემო.

ᲙᲠᲘᲐᲚᲝᲡᲐ N ᲘᲣᲡᲘ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დელეგაციასთან ერთად სამუშაო ვიზიტით ბელგიაში გაემგზავრა. ირაკლი ღარიბაშვილი ვიზიტის ფარგლებში ბრიუსელში მაღალი დონის ორმხრივ შეხვედრებს გამართავს როგორც ნატოში, ისე ევროკავშირში. დელეგაციის შემადგენლობაში საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე არიან.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილთან ერთად ჩეხეთის რესპუბლიკაში ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეთა კონფერენციაში მონაწილეობს. პარლამენტის თავმჯდომარემ ვიზიტის ფარგლებში მაღალი დონის არაერთი შეხვედრა გამართა, სადაც ისაუბრა საქართველოს მიერ ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებაზე. პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, აღარ მოხდეს საქართველოს დიფერენციაცია უკრაინასა და მოლდოვასგან. ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მხრიდან მან მიიღო მხარდაჭერა საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

* * *

პარტია „საქართველოსთვის“ გამოდის ინიციატივით, პარლამენტში შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ ე.წ. თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმეს შეისწავლის. მათივე ინფორმაციით, პარტია უახლოეს დღეებში საკონსტიტუციო სარჩელს წარადგენს, რათა ხელისუფლებამ რეგლამენტში არსებული ჩანაწერის ბოროტად გამოყენებით პარლამენტის წევრების მიერ კონსტიტუციური უფლების რეალიზებისთვის უკანონო ბარიერების შექმნა ვერ შეძლოს.

* * *

კონკრეტული ადამიანის სიიდან ამოღება ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა, - ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგიონულმა მდივანმა გიორგი ბოტკოველმა განაცხადა, რითაც პარტიის ბათუმის ორგანიზაციის წევრების განცხადებას გამოეხმაურა. ცნობისთვის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის ორგანიზაციის წევრების განცხადებით, ბათუმის საკრებულოში ლაშა კილაბერიას ადგილმონაცვლეების სიიდან ნიკა მელიას მხარდამჭერები ამოიღეს. მათივე განცხადებით, გადაწყვეტილება ენმ-ის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა მიიღო.

მოამზადა
ია შველიძემ

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲝᲑᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 13-18 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

მოკვლევის მიზანია აჭარის აღმასრულებელ ორგანოებში ღია მმართველობის გაძლიერება

აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, საკონსულტაციო ჯგუფის განახლებული შემადგენლობის საკითხი განიხილეს.

სხდომის მონაწილეებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარე ორგანიზაციის - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ბათუმის ოფისისა და სამოქალაქო საბჭოების კოორდინატორის, მალხაზ ჭკადუას საკონსულტაციო ჯგუფიდან გასვლის შესახებ.

სხდომაზე, თემატურ მოკვლევასთან - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ღია მმართველობის შეფასება“ დაკავშირებით, დასკვნა და რეკომენდაციების პროექტი უმაღლესი საბჭოსა და ღია მმართველობის საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ წარმოადგინა. მისი განცხადებით, მოკვლევის მიზანია აჭარის აღმასრულებელ ორგანოებში ღია მმართველობის კუთხით არსებული ვითარების შეფასება და ამ ტიპის მმართველობის გაძლიერება.

პროექტის წარდგენის შემდგომ, განისაზღვრა ზეპირ მოსმენებზე პასუხისმგებელი პირი და განხილვის ვადა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ლაშა კილაბერიას ადგილმონაცვლეების სიიდან ნიკა მელიას მხარდამჭერები ამოიღეს

2

მთავარი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვაა

4

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

29 აპრილს „ბათუმობა“ აღინიშნება

ᲪᲝᲢᲜᲔ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ 27 48 93

ბათუმის მერიამ მოსახლეობას „ბათუმობა“ წინასწარ მიულოცა და 29 აპრილისთვის დაგეგმილი ღონისძიებებიც დააანონსა

ბათუმის მერიის ინფორმაციით, დღესასწაულ „ბათუმობა 2023“-ის ფარგლებში საზაფხულო თეატრისა და ბულვარის კოლონადების მიმდებარედ, მთელი დღის განმავლობაში, საბავშვო და სპორტული აქტივობები, კულტურული ღონისძიებები, კლასიკური, თანამედროვე და ქართული ფოლკლორის კონცერტები, გამოფენები, ბათუმში და ბათუმზე გადაღებული ფილმების კადრების ჩვენება, ანიმატორების წარმოდგენა და ქართული კერძების დაგემოვნება გაიმართება.

13:00 საათზე ჩატარდება „საპატიო ბათუმელის“ წოდების მინიჭების ცერემონია, 19:00 საათზე კი მსურველები მიუზიკლ „და, აი, ჩვენ აქ ვართ Mamma Mia“-ს იხილავენ.

„ბათუმობა“ 21:00 საათზე საზეიმო გალაკონცერტითა და გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდება.

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘᲫᲔ

საქართველოს მთავრობა ძალიან მალე მიმართავს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით, რომ მგზავრთა კომფორტულად და უსაფრთხოდ გადაყვანის საკითხი დარეგულირდეს

ᲜᲐᲘᲠᲐ ᲨᲣᲗᲙᲐᲠᲐᲫᲔ 27 48 93

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა ძალიან მალე მიმართავს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით, რომ მგზავრთა კომფორტულად და უსაფრთხოდ გადაყვანის საკითხი დარეგულირდეს

მისივე განცხადებით, ავტოსადგურებში დაკმაყოფილებული არ არის მინიმალური მოთხოვნები და სტანდარტები, რაც სახელმწიფოს მხრიდან ჩართულობას საჭიროებს.

„ეკონომიკურ საბჭოზე ჩვენ გავიხილეთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა და რეფორმა, რომელიც უკავშირდება მგზავრთა გადაყვანას. მოგეხსენებათ, ქვეყნის შიგნით საავტომობილო, სამგზავრო გადაყვანა და ზოგადად, ეს სფერო მოწესრიგებას საჭიროებს. ძალიან დიდი პრობლემები არსებობს. იგივე, თუნდაც ავტოსადგურებში მდგომარეობა არ არის ნამდვილად სახარბიელო, ანტისანიტარიაა, დაკმაყოფილებული არ არის მინიმალური მოთხოვნები და სტანდარტები. ასევე, ეს უკავშირდება მოძრაობის და უსაფრთხოების წესებს, რაც საჭიროებს სახელმწიფოს ჩარევას და ჩართულობას. ამიტომ, ჩვენ შევიმუშავეთ კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ მოამზადა. ჩვენ ძალიან მალე მივმართავთ პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ დარეგულირდეს. ავტოსადგურები უნდა იყოს თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი. ასევე, მგზავრთა გადაყვანა უნდა იყოს კომფორტული და უსაფრთხო. ჩვენ ამ კომპანიებს და ფიზიკურ პირებსაც მივცემთ გონივრულ ვადას იმისთვის, რომ ყველა ეს პრობლემა გამოასწორონ. ვფიქრობ, ჩვენი მოქალაქეებისთვის გაცილებით უფრო კომფორტული და უსაფრთხო გახდება ქვეყნის შიგნით მათი მგზავრობა“, - განაცხადა პრემიერმა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება იმუნიზაციის კვირეულში ერთვება

ᲜᲐᲘᲠᲐ ᲨᲣᲗᲙᲐᲠᲐᲫᲔ 27 48 93

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 23-29 აპრილს იმუნიზაციის კვირეულში ერთვება. ორგანიზაციის ინფორმაციით, კვირეულის გახსნაში, საქართველოს მასშტაბით, წითელი ჯვრის საზოგადოების ფილიალებიც აქტიურად მონაწილეობენ.

წითელი ჯვრის ცნობით, კვირეული იმუნიზაციის მნიშვნელობის გაზრდასა და ყველასათვის ხანგრძლივი, ჯანმრთელი ცხოვრების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მრავალი წელია იმუნიზაციის კვირეულშია ჩართული და ამ მიმართულებით სხვადასხვა სახის ფართომასშტაბიან საკომუნიკაციო ღონისძიებებს ახორციელებს.

კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA), ავსტრიის წითელი ჯვრის (AuRC), წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციის (IFRC) მხარდაჭერით, პროექტის - „ეპიდემიების მიმართ მზაობა და კოვიდ-19-ზე რეაგირება სომხეთსა და საქართველოში“ ფარგლებში ხორციელდება.

გასულ წლებში, COVID-19-ის პანდემიის გამო, მთელ რიგ ქვეყნებში ბავშვთა რუტინული ვაქცინაციის მაჩვენებლები შემცირდა. ბავშვის აუცრელობის შემთხვევაში, ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი იზრდება. მნიშვნელოვანია, რომ ვაქცინაციაზე ყველას თანაბარი წვდომა ჰქონდეს. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება აქტიურად უჭერს მხარს COVID-19-ის ვაქცინაციასა და გეგმურ იმუნიზაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ქალაქ რუსთავში მასობრივი ვაქცინაციის ცენტრი და ორი სრულად აღჭურვილი მობილური ვაქცინაციის ერთეული ფუნქციონირებს, სადაც ნებისმიერი მსურველი COVID-19 ვაქცინაციის სრულფასოვანი სერვისით ისარგებლებს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, მის პარტნიორებთან ერთად, აქტიურად მუშაობს, რათა ვაქცინების სარგებელსა და აცრების მაჩვენებლების შემცირებით გამოწვეულ რისკებზე ცნობიერება გაზარდოს.

ლაშა კილაბერიას ადგილმონაცვლეების სიიდან ნიკა მელიას მხარდამჭერები ამოიღეს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, რომ ბათუმის საკრებულოში ლაშა კილაბერიას ადგილმონაცვლეების სიიდან ნიკა მელიას მხარდამჭერები ლევან გორგილაძე, რონ დვალი, ელიზა ეფაძე, შორენა აბაშიძე ამოიღეს.

ეს გადაწყვეტილება პარტიის ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა თვითნებურად მიიღო, რისთვისაც ენმ-ის ბათუმის ორგანიზაციის წევრები მის თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვენ.

„ნაცვლად იმისა, რომ ლევან ხაბეიშვილი დაკავებული იყოს წინასაარჩევნო დაპირებებით, მას ჰქონდეს უწყვეტი საპროტესტო აქციები მიხეილ სააკაშვილის გასათავისუფლებლად, მუშაობდეს ნიკა გვარამიას გათავისუფლებაზე, პასუხობდეს სხვადასხვა გამოწვევას ჩვენს ქვეყანაში, ლევან ხაბეიშვილი ცვლის ბათუმელების ნებას“, - განაცხადა გიორგი კირთაძემ.

* * *

ბათუმში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთი ნაწილის ბრალდებას თანაგუნდელები გამოეხმაურნენ. როგორც აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა ლევან ანთაძემ განაცხადა, ბათუმის საკრებულოში ლაშა კილაბერიას ადგილმონაცვლეების სიიდან თანაგუნდელები იმ მიზეზით ამოიღეს, რომ ისინი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს არ ატარებდნენ.

„პარტიის თავმჯდომარეს აქვს უფლება, ამოიღოს სიიდან ის ადამიანები, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის. რატომ მოხდა ამ ადამიანების ამოღება? ეს ადამიანები ბოლო თვეების განმავლობაში საერთოდ არ კონტაქტობდნენ პარტიასთან, მიუხედავად არაერთი მოწვევისა. ისინი არ თანამშრომლობენ პარტიასთან, არ გამოხატავენ პარტიის ინტერესებს და, თავისთავად, გასაგებია, ჩვენი ბათუმის ორგანიზაციის მოთხოვნა იყო, რომ ეს ადამიანები ამოღებული ყოფილიყვნენ პარტიული სიიდან და შესულიყვნენ ის ადამიანები, რომლებიც პარტიულ ინტერესებს გამოხატავენ. ამ სამი თვის განმავლობაში არ გამიგია არჩილ ჩიქოვანის, რიყვაძის, ივანიშვილის და კობახიძის კრიტიკა, მაგრამ გამიგია ლევან ხაბეიშვილისა და ლევან ვარშალომიძის და სხვების, ეს ადამიანები თვითმმართველობაში არ გამოხატავენ პარტიის ინტერესს და, რა თქმა უნდა, არ იქნებიან წარმოდგენილი ენმ-ს პარტიიდან“, - განაცხადა ლევან ანთაძემ.

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘᲫᲔ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

შაბათ-კვირის ქრონიკა

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ინფორმაციით, პირველად, 12 წლის შემდეგ, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული ქართველი მოჭადრაკე გახდა. 15 წლის ანასტასია კირთაძემ 9-დან 7,5 ქულით დამაჯერებლად გაიმარჯვა მსოფლიოს სასკოლო ჩემპიონატზე 15 წლამდე ასაკის გოგონათა შორის. ფედერაციის ცნობით, ახალგაზრდა მოჭადრაკის მწვრთნელია, საერთაშორისო დიდოსტატი გიგა ყუფარაძე.

* * *

აჭარის მთებში მოლაშქრეთა კლუბის წევრებმა აჭარის მუნიციპალიტეტებში მიუვალი მიდამოები აითვისეს და სოფლების დამაკავშირებელი მიტოვებული საფეხმავლო ბილიკები აღმოაჩინეს. ახალი სათავგადასავლო ბილიკები და ტურისტული მიმართულებები ხელმისაწვდომი გახდება ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთათვის.

* * *

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა თეატრმა, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად, წიგნის საერთაშორისო დღე აღნიშნა. ღონისძიების ფარგლებში, უნივერსიტეტის გამოცემული კრებულებისა და წიგნების გამოფენა მოეწყო. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას თეატრის მიერ გასულ წელს გამოცემული წიგნი „ჯადოსნური სივრცე“ გადაეცა. მასში თეატრის დაარსებამდე, თეატრალური წარმონაქმნების ისტორიის მიმოხილვა და თეატრის ისტორიაა ასახული 1980 წლიდან დღემდე. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა მასტერკლასი.

* * *

ბათუმში ველომარათონი გაიმართა, რომელიც ველოსიპედის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ქალაქის მერიასთან არსებული მრჩეველთა საბჭოს ორგანიზებით დაიგეგმა. სპორტისა და ველოსიპედის, როგორც სატრანსპორტო საშუალების პოპულარიზაციის მიზნით, ველომარათონში საკრებულოს წევრები და 50-მდე ახალგაზრდა ჩაერთო. შეჯიბრებაში ნაწილი საკუთარი ველოსიპედით, ნაწილი კი ბულვარში განთავსებული „ბათუმველოს“ ველოსიპედებით მონაწილეობდა.

* * *

აჭარაში უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებში, პირველი ახალშობილი - მართა დაიბადა. პროგრამა 2022 წელს დაინერგა, 2023 წლიდან გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი, რაც 700 ათას ლარს შეადგენს. პროგრამით სარგებლობენ აჭარაში მცხოვრები 300 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე წყვილები, რომელთაც ესაჭიროებათ შესაბამისი რეპროდუქციული სამედიცინო დახმარება. პროგრამის ფარგლებში გაიცა 150 ვაუჩერი.

* * *

საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიო თასზე ეტლით ფარიკაობაში, ირმა ხეცურიანმა ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველმა პარამოფარიკავემ ნახევარფინალში ჩინელ მოწინააღმდეგეს 15:3 სძლია, ფინალში კი ტაილანდელ საისუნ იანას 15:12 მოუგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მსოფლიო თასის გათამაშებაზე მედლებისთვის ბრძოლას ნინა თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილი განაგრძობენ.

მოამზადა
ᲜᲐᲘᲠᲐ ᲨᲣᲗᲙᲐᲠᲐᲫᲔ

პოლიტდაიჯესტი

სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას მოუწოდებს, რომ აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლებს პროტესტის გამოხატვისთვის ღირსეული პირობები შეუქმნან. მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლება არ შეიზღუდოს, ამასთან, ეს ღირსეულ პირობებში შეძლონ.

„როდესაც პრობლემა დადგა, პირველი დღიდანვე ჩავერთეთ პროცესში. სახალხო დამცველის აპარატის მეცადინეობით, სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. ჩვენ ამ ჯგუფში დღემდე აქტიურად ვმონაწილეობთ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, რათა პრობლემა გადაწყდეს ბავშვების ინტერესების შესაბამისად. რაც შეეხება აქციას, ჩვენ ამ აქციის მონიტორინგი არ შეგვიწყვეტია, გამოხატვის თავისუფლების ნაწილში რაიმე ტიპის შეზღუდვას თუ ექნება ადგილი, ან რაიმე პრობლემა წამოიჭრება, აქაც ვერთვებით აპარატის თანამშრომლები“ - ამბობს სახალხო დამცველი.

* * *

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის თვალსაზრისით, ევროპარლამენტის რეზოლუციებში ნიკა გვარამიასა და დავით კეზერაშვილის დადებითად მოხსენიება საქართველოს უახლესი ისტორიის გადაწერას ნიშნავს. მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ეს ადამიანები არაერთ დანაშაულში არიან მხილებულნი და მათზე პოლიტიკურ კონტექსტში საუბარი დაუშვებელია.

„ნებისმიერი პოზიტიური ჩანაწერი, რომელიც საakაშვილთან, კეზერაშვილთან, გვარამიასთან და სხვებთან დაკავშირებით ევროპარლამენტის სხვადასხვა რეზოლუციაში შეიძლება გვხვდებოდეს, ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საქართველოს უახლესი ისტორიის ერთგვარ გადაწერას ნიშნავს.

ამ ადამიანებს არაერთი დანაშაული აქვთ ჩადენილი და მათზე პოლიტიკურ კონტექსტში საუბარი რადიკალურად მიუღებელია. მათ, ვინც ასეთ რეზოლუციებს მხარს უჭერდნენ, კონკრეტული დასტური მიიღეს იმასთან დაკავშირებით, რომ კეზერაშვილი კორუმპირებულია. ის კვლავ განაგრძობს დანაშაულის ჩადენას, ამჯერად ევროპელი პენსიონერების წინააღმდეგ. ბევრისთვის ეს ძალიან კარგი გაკვეთილი იქნება“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ე. წ. ქოლცენტრების საქმესთან დაკავშირებით კობახიძემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს პროკურატურას გერმანელ კოლეგებთან ერთად ამ საქმის გამოძიება დაწყებული ჰქონდა. გამოძიება წარმატებით მიმდინარეობდა და იმის თქმა, რომ ქართულ მხარეს ინფორმაცია არ ჰქონდა, სპეკულაციაა.

„ყველას მინდა შევახსენო, რომ სანამ BBC-ზე კეზერაშვილზე სიუჟეტი გავრცელდებოდა, მანამდე საქართველოს პროკურატურაში, გერმანელ კოლეგებთან ერთად, ამ დანაშაულის შესახებ ბრიფინგი ჩატარდა. ყველამ იცის, რომ საქართველოს პროკურატურა ამ საქმეში ჩართული იყო და მეტიც, მისი თანამონაწილეობით, გერმანელ კოლეგებთან ერთად ეს საქმე გაიხსნა. სპეკულაციაა იმაზე საუბარი, რომ ქართულმა მხარემ რაიმე არ იცოდა“, - თქვა მან.

* * *

ჟურნალისტებთან საუბრისას პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ პროკურატურის იმ კომისიით ჩანაცვლება, რომელსაც უსაქმური ადამიანები ჩაუდგებიან სათავეში, სწორ გადაწყვეტილებად არ მიაჩნია. ასე გამოეხმაურა იგი ე. წ. ქოლცენტრების საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივას.

„პარლამენტში არაფერი უკეთებიათ და საგამოძიებო კომისიის შექმნა რაღაც სტრატეგიად ჩამოაყალიბეს, რომ როგორმე თავი გამოიჩინონ, კომისია შექმნან, რომელიც სკანდალურ თემებს წამოწევს. არ მგონია, რომ პროკურატურა უნდა ჩაანაცვლოს კომისიამ, რომელსაც ეს უსაქმური ადამიანები ჩაუდგებიან სათავეში მხოლოდ იმიტომ, რომ თავის პოლიტიკურ გეგმას მიაღწიონ და დივიდენდი მიიღონ. კომისიის შექმნას მყარი საფუძველი უნდა გააჩნდეს, როცა დანაშაული სახეზეა და თუნდაც ამ დანაშაულზე არ რეაგირებს შესაბამისი უწყება“, - თქვა ვოლსკიმ.

ვოლსკის თქმით, ,ე. წ. ქოლცენტრების საქმეზე უცხოეთში დაკავებული რატი ალექსიძე ნამდვილად თავდაცვის მოქმედი მინისტრის ყოფილი ქვისლია, თუმცა ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის ახლო მეგობარი და გუნდის წევრიცაა.

„რატი ალექსიძის თემას რაც შეეხება, ის მართლაც არის თავდაცვის მინისტრის ყოფილი ქვისლი და კეზერაშვილის უახლოესი მეგობარი და გუნდის წევრი. რადგან არ ვიფიქროთ იმაზე, რომ კეზერაშვილის გუნდის წევრია, ხმამაღალი ლაპარაკი დაიწყეს, რომ ეს ადამიანი ყოფილა ფეხბურთელი, კალაძეს იცნობს და ჯუანშერ ბურჭულაძის ყოფილი ქვისლია. ეს უსუსური და უნიათო მცდელობაა, რომ გადაიტანონ ყურადღება სხვაზე. უკვე ნაგავში თუ ტალახში მჯდომი ადამიანების უსუსური შეძახილებია,“ - განაცხადა ვოლსკიმ.

* * *

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ განაცხადა, რომ უწყებას არასდროს უთქვამს უარი მედიკამენტ „ვოსორიტიდის“ ქვეყანაში შემოტანაზე, რომელსაც აქონდროპლაზიის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლები მოითხოვენ. როგორც გაბუნიამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ბრიფინგზე განმარტა, საჭიროა რისკების გადაზღვევის გზებზე მსჯელობა, რაც შესაძლებელია ქვეყანაში ინოვაციური მედიკამენტის დანერგვას უკავშირდებოდეს.

„ეს მედიკამენტი ჯერჯერობით არცერთ სტანდარტულ მკურნალობაში შეტანილი არ არის. როდესაც საქმე გვაქვს არასტანდარტულ მკურნალობასთან, საჭიროა მეტი სიფრთხილე, მეტი დრო და გარკვეული ეტაპების გავლა. ჩვენ არასდროს გვითქვამს, რომ უარს ვამბობდით ამ მედიკამენტის ქვეყანაში შემოტანაზე. მწარმოებელთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

იხ. მე-7 გვ.

უცხოეთი

გერმანიას რომ გათვლები არ ეკეთებინა, როგორც ახლა, და არ ეცადა, უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლა გადაედო, უკრაინა მრავალი წლის წინ მიუნხენში, ალიანსში რომ მიეწვიათ, დღეს ომი არ იქნებოდა, - ასე გამოეხმაურა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პიოტრ ვავჟიკი გერმანიის თავდაცვის მინისტრ ბორის პისტორიუსის განცხადებას, რომ ახლა უკრაინის ნატოში გაწევრიანების გადაწყვეტილების მიღების დრო არ არის. ვავჟიკის თქმით, საფრანგეთი და, ძირითადად, გერმანია ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ უკრაინის ევროკავშირში ან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლას. „ჩვენი აზრით, რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესი, რადგან ეს იქნება არა მხოლოდ უკრაინისა და პოლონეთის, არამედ მთელი რეგიონის უსაფრთხოების გარანტი“, - განაცხადა პიოტრ ვავჟიკმა.

* * *

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ამპლუაში ნიუ-იორკში იმყოფება, სადაც ორი დღის განმავლობაში უშიშროების საბჭოს სხდომა იმართება. იგი შეხვედრებში მონაწილეობს. სერგეი ლავროვი გუშინ გაეროს გენერალურ მდივან ანტონიო გუტერეშს შეხვდა. მანამდე გაეროში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვასილი ნებენზიამ განაცხადა, რომ რუსეთს განსახილველად საკმაოდ ბევრი თემა დაუგროვდა. შეგახსენებთ: პირველი აპრილიდან, ერთი თვით, გაეროს უშიშროების საბჭოს რუსეთი უხელმძღვანელებს.

* * *

ჩინეთი პატივს სცემს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სუვერენულ სახელმწიფო სტატუსს, ჩინეთი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც დაამყარა დიპლომატიური კავშირები აღნიშნულ ქვეყნებთან, - განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მაო ნინმა და დასძინა, რომ მისი ნათქვამი წარმოადგენს ჩინეთის მთავრობის ოფიციალურ შეხედულებას. მანამდე, საფრანგეთში ჩინეთის ელჩმა ლუ შაიმ განაცხადა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს „არ აქვთ ეფექტური სტატუსი საერთაშორისო სამართალში, რადგან არ არსებობს საერთაშორისო შეთანხმება მათი, როგორც სუვერენული ქვეყნების სტატუსის განხორციელებისთვის“.

* * *

თუ ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება დაშვებულ შეცდომებს არ გამოასწორებს, ულტრამემარჯვენე ლიდერი მარინ ლე პენი შესაძლოა, გახდეს საფრანგეთის შემდეგი პრეზიდენტი, - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა. მან ადგილობრივ მედიასთან ისაუბრა 2027 წლის არჩევნებზე და აღნიშნა, რომ ლე პენის გაპრეზიდენტება შესაძლებელია, „თუ არ გაეცემა პასუხი ქვეყნის გამოწვევებს და თუ პოპულისტების ტყუილისა და რეალობის უარყოფის ჩვევა დაინერგება“.

* * *

ისრაელში საპროტესტო გამოსვლები განახლდა. თელ-ავივის ქუჩებში სასამართლო რეფორმის გასაპროტესტებლად 160 000-ზე მეტი ადამიანი გამოვიდა. აქციის გამო, დროებით შეიზღუდა ტრანსპორტის მოძრაობა. პრემიერის მიერ ინიციირებული რეფორმის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები ისრაელში რამდენიმე თვეა, გრძელდება. ბენიამინ ნეთანიაჰუმ რეფორმის მიღება ზაფხულამდე გადადო, თუმცა პროტესტი არ წყდება.

მოამზადა
ია შველიძემ

დასაქმების ფორუმი 2023

დარინა გაგაიძე 514 22 22 80

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო და აჭარის დასაქმების სააგენტო გაძლევთ შესაძლებლობას, „შერატონში“ 27 აპრილს, 14:00 საათიდან, მიიღოთ მონაწილეობა დასაქმების ფორუმში, სადაც 65-ზე მეტი კომპანია 2000-ზე მეტი ვაკანსიით იქნება წარმოდგენილი. ასევე, შესაძლებლობა გექნებათ, შერჩეული ვაკანსიის შესახებ ინფორმაციას გაეცნოთ უშუალოდ დამსაქმებლისგან და ყველა დეტალი გაიაროთ ადგილზე

ფორუმზე შეხვდებით პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებს და მიიღებთ ინფორმაციას პროფესიული უნარების განვითარების და კვალიფიკაციის ამაღლების არსებული შესაძლებლობების შესახებ, შეიძენთ დამსაქმებელთან გასაუბრების პრაქტიკულ გამოცდილებას და გაეცნობით დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებს. ფორუმის მსვლელობისას შეძლებთ რეზიუმეს მომზადებას დამსაქმებელთან წარსადგენად და რჩევებს მიიღებთ სპეციალისტებისგან. „დასაქმების ფორუმთან“ დაკავშირებით ჩვენს კითხვებს უპასუხა აჭარის დასაქმების სააგენტოს დირექტორმა ***თემურ კახიძემ.***

- რით იქნება გამორჩეული და განსხვავებული დასაქმების ფორუმი 2023?

- ფორუმი განსხვავებული იქნება იმით, რომ მასში ჩართული იქნებიან არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროვაიდერები და დამსაქმებლები, არამედ სახელმწიფო სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მონაწილეებს, ყველა საჭირო კითხვაზე მიიღონ პასუხი, ასევე, სამუშაოს მაძიებლებს ექნებათ შესაძლებლობა, გაეცნონ იმ მხარდამჭერ სერვისებს და პროგრამებს, რომლებსაც სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუცია ახორციელებს. ეს მათ კარიერულ განვითარებასა და სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებაში საუბარი დაუშვებელია.

- ფორუმზე პროფესიული სასწავლებლები თუ იქნებიან წარმოდგენილი?

- თავისთავად, საგანმანათლებლო პროვაიდერები იქნებიან წარმოდგენილი. ფორუმის მიზანია, ერთი მხრივ, დამსაქმებელსა და სექტორთა შორის ურთიერთობა გაძლიერდეს, უზრუნველვყოთ ბიზნესის მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესებში, მეორე მხრივ, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლებლობა აქვთ, თავიანთი პროგრამები გააცნონ სამუშაოს იმ მაძიებლებს, რომლებიც ჯერ არ არიან ჩამოყალიბებული, თუ რა პროფესიას დაეუფლონ. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ესეც ძალიან კარგი შესაძლებლობაა, თუნდაც იმ კატეგორიისთვის, რომელიც სამუშაოს არ ეძებს, მაგრამ ორინტირებულია, რომ პროფესიული განათლება მიიღოს, შეხვდეს პირისპირ, გაესაუბროს სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე სასწავლებლების წარმომადგენლებს და მიიღოს პირველი პირიდან ინფორმაცია, პროფორიენტაციის კუთხით მხარდაჭერა.

- თქვენი სააგენტოს კონსულტანტები რა სახის დახმარებას გაუწევენ სამუშაოს მაძიებლებს?

- ჩვენი სააგენტოს კონსულტანტები დაეხმარებიან ამ ადამიანებს, რომ შესაბამის კომპანიებს მიმართონ, სხვადასხვა სახის კონსულტაცია გვექნება ფორუმის მიმდინარეობის პროცესში. რაც შეეხება რეზიუმეებს, მისი შევსება იქვე განხორციელდება ჩვენი კონსულტანტების მხარდაჭერით და დახმარებით. ამას ემატება ის, რომ გვექნება საინფორმაციო ფურცლები, მაგალითისთვის, როგორ უნდა მოვიქცეთ გასაუბრებაზე, რომ შეცდომა არ დავუშვათ. სამუშაოს მაძიებლებს დაურიგდებათ „მოკლე სამახსოვროები“, სადაც იქნება ნაჩვენები, როგორ არ უნდა მოვიქცეთ, ჩამოთვლილი იქნება სამუშაოს მაძიებლის მხრიდან გასაუბრების პროცესში ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები. ვფიქრობ, ესეც მნიშვნელოვნად დაეხმარებათ საკუთარი თავის სწორ კონტექსტში წარმოსადგენად. ასევე, იქნება სხვადასხვა სახის გზამკვლევები საქმიანობის, სფეროების მიხედვით, საინფორმაციო ფურცლები მათთვის, ვინც უკვე იცის, რა პოზიციაზე სურს დასაქმება. შეძლებენ იმ კომპანიების ჩამონათვალის მოძიებას, რომელსაც აღნიშნულ პოზიციაზე ვაკანტური ადგილი აქვს.

- თუ არის ასაკობრივი შეზღუდვა?

- არა. გასული წელი და თუნდაც მიმდინარე პერიოდი არის ძალიან კარგი მაგალითი იმისა, რომ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს საკმაოდ მაღალი მოტივაცია აქვთ, დასაქმდნენ და სამუშაო გამოცდილება მიიღონ, რაც მისასალმებელია. კომპანიებიც არ ზღუდავენ ასაკობრივად, უბრალოდ, არის გარკვეული სამუშაოები, რომელზე მუშაობის უფლებაც ამ ადამიანებს აქვთ. იმ ობიექტებზე, სადაც რისკის ფაქტორია, თავისთავად, არასრულწლოვანი არ დაიშვება, სხვა შემთხვევები კანონით რეგულირდება.

- ფორუმზე პროფესიული სასწავლებლები თუ იქნებიან წარმოდგენილი?

- თავისთავად, საგანმანათლებლო პროვაიდერები იქნებიან წარმოდგენილი. ფორუმის მიზანია, ერთი მხრივ, დამსაქმებელსა და სექტორთა შორის ურთიერთობა გაძლიერდეს, უზრუნველვყოთ ბიზნესის მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესებში, მეორე მხრივ, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლებლობა აქვთ, თავიანთი პროგრამები გააცნონ სამუშაოს იმ მაძიებლებს, რომლებიც ჯერ არ არიან ჩამოყალიბებული, თუ რა პროფესიას დაეუფლონ. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ესეც ძალიან კარგი შესაძლებლობაა, თუნდაც იმ კატეგორიისთვის, რომელიც სამუშაოს არ ეძებს, მაგრამ ორინტირებულია, რომ პროფესიული განათლება მიიღოს, შეხვდეს პირისპირ, გაესაუბროს სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე სასწავლებლების წარმომადგენლებს და მიიღოს პირველი პირიდან ინფორმაცია, პროფორიენტაციის კუთხით მხარდაჭერა.

მთავარი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვაა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

უჩამბის ადმინისტრაცილ ერთეულში წელს მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული პროექტები ხორციელდება. მიმდინარე პროექტებზე მერის წარმომადგენელი ამ ადმინისტრაციულ ერთეულში ემზარ დავითაძე გვესაუბრება.



- ადმინისტრაციული ერთეულის სოფლები, დასახლებული უბნები ზღვის დონიდან 500-600 მეტრიდან იწყება და გოგაძეები, წაბლანა, ტბეთი 1200 მეტრზე მაღლა მდებარეობს. წელიწადის ნებისმიერ დროს სოფლების ფერმერები ამინდზე არიან დამოკიდებულები - ზამთარში თოვლი და ყინვა, ზაფხულში - გვალვა. ზოგჯერ ტბეთისწყალი ისე მოასკდება ნაპირებს, რომ გზები, ხიდები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ზიანდება. ამ თანამდებობაზე მუშაობის წლებში ბუნების ასეთი სამი განრისხება მახსენდება. ყველაზე მეტი ზარალი გუდნას ტერიტორიაზე აგვისტოში ჩამოწოლილმა მეწყერმა დაგვიტოვა, როცა ქვაბთის, კვირიაულის ხიდები, მდინარისპირა ჭალები, შეგუბების შედეგად გახსნილმა წყალმა დააზიანა. ქვეყნისა და რეგიონის ხელმძღვანელობის თანადგომით, ახალი ხიდები გაკეთდა და ტრანსპორტი ნორმალურად გადაადგილდება.

- სტიქია წელსაც არ გასვენებთ...

- ჯერ იყო და სოფელ ჯაბნიძეებში იმ ტერიტორიაზე განვითარდა მეწყრული პროცესები, სადაც ერთ დროს ნაძვნარი კოროში იყო. ნაძვის ხეები ბუნებრივად გახმა და მისი გამოტანა დაიწყეს. მოშიშვლებული ფერდობი მეწყერმა «მიითვისა». სამოლეთის ტერიტორიაზე რამდენიმე წლის წინ საავტომობილო გზის ზედა მხარეს მეწყრული პროცესების შესაკავებლად დამცავი გაბიონი ამოიყვანეს, რამაც პროცესი ვერ შეაჩერა, რადგან უხარისხოდ იყო ნაშენები. ახლა მისი დაშლაც თანხებს საჭიროებს. 15-მდე კომლს, საუკუნოვან სასაფლაოს საფრთხე დაემუქრა სოფელ ცინარეთის კეჟერაძეებით დასახლებულ უბანში. სპეციალისტების დასკვნით, საჭიროა სასაფლაოების გადატანა, მეწყერსაშიში ტერიტორიიდან ოჯახების გაყვანა. სახარბიელო მდგომარეობა არც მოფრინეთშია. აქედან სოფელ წაბლანამდე მისასვლელი საავტომობილო გზის 500-მეტრიანი მონაკვეთი დაბზარულ-დამეწყრილია.

- რა პრევენციულ ღონისძიებებს ატარებთ?

- ისევ და ისევ, კვალიფიციური სპეციალისტების დასკვნებით გხელმძღვანელობთ. თოვლდნობის, ხანგრძლივი წვიმებისას მეწყერსაშიში ტერიტორიებიდან ოჯახები საიმედო ადგილებზე გადაგვყავს. დაზარალებული ოჯახების სიები დაზუსტებულია და თითოეული საცხოვრებელი სახლის სხვა ტერიტორიაზე გადასაყვანად, ან ახლის შესაძენად 40-40 ათას ლარს მიიღებს. რაც შეეხება 100-ზე მეტი სასაფლაოს სხვა ტერიტორიაზე გადატანას, ეს ძალიან რთული, შრომატევადი და გაჭიანურებული პროცესი იქნება. აქ დაკრძალულთა ერთი ნაწილის შთამომავლები სოფელში საერთოდ აღარ ცხოვრობენ. უკვე მიწის ზედაპირზე ამოხეთქა იმ წყარომ, რომელიც ფერდობზე შენაკრები წყლებით საზრდოობდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა სპეციალისტების, დამპროექტებლების ხელახალ კვლევებს ითხოვს. იქნებ ადგილზევე გაკეთდეს წყალშემკრები სანიაღვრეები, რომ ფერდობზე არსებული წყაროები, რომლებიც თოვლდნობის, ხანგრძლივი წვიმების შედეგად წყალუხვნი ხდებიან, ასევე, მოვარდნილ ღვარცოფებს, იქვე არსებულ ხევში ჩადინების საშუალება მიეცეს.

- აპრილიც თოვლჭყაპით მიილია, ფერმერებს მინდვრად მუშაობისთვის დრო ცოტა რჩებათ, მათ დასახმარებლად რა კეთდება?

- «აგროსერვის ცენტრის» სამი სახნავი ტრაქტორი პირველად უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში აპრილის მეორე დეკადის დასაწყისში გამოგვიგზავნეს. მექანიზატორები, როგორც კი ამინდმა მუშაობის შესაძლებლობა მისცა, სახნავ ნაკვეთებში გავიდნენ. უკვე 7 სოფელში 30,5 ჰექტარი მიწის ფართობი დაიხნა. საადრეო კარტოფილი დათესეს ლაკლაკეთში, კვირიაულში, ვერხვანასა და ოკისში. ფერმერთა ერთი ნაწილი ვაზისა და თხილის მოვლა-პატრონობითაა დაკავებული. ზვრებში, თხილის ნარგავებში პირველ სამუშაოებს მორჩნენ მევენახეები ნოდარ კეჟერაძე, ომარ აბუსელიძე, შალვა, გერონტი ცინარიძეები. თითქმის 10 ჰექტარზეა გაშენებული თხილი. 20-ზე მეტი ის ფერმერი, რომელსაც ეს კულტურა 2000 კვადრატულ მეტრ ფართობზე აქვს გაშენებული, სახელმწიფოსგან დახმარებას მიიღებს. ფერმერთა ნაწილს აპრილის ცივ და ყინვიან დღეებში კურკოვანი და კაკლოვანი კულტურების მოსავალი გაუნადგურდა. ჩვენი მიზანია, ფერმერთა უმრავლესობა დაზღვევის პირობებში ჩავრთოთ, რაც მათ საშუალებას მისცემს, მიყენებული ზარალი აინაზღაურონ.

- რა ღონისძიებებს ატარებთ, რომ ნაწილობრივ მაინც შეჩერდეს სოფლების დაშლა-დაცარიელების პროცესი?

- კარგად მახსოვს, ზეკარაში, ლომსიანეთში, ოკისში, გორაში, აფხაკეთაში დაწყებითი სკოლები რომ იყო. ახლა ზამთრობით ორი კომლი რჩება გორაში, ერთი - ოკისში, ზეკარა საერთოდ მოიშალა, ვერხვანის, კვირიაულის და ლაკლაკეთის დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი მინიმუმამდეა ჩამოსული. თუ ასე გაგრძელდა, გოგაძეების სამსაფეხურიანი საჯარო სკოლის ბედს გაიზიარებს უჩამბა, სადაც შუახევის რაიონის ტერიტორიაზე პირველი საშუალო სკოლა იყო და მოსწავლეთა კონტინგენტი წინა საუკუნის 80-იან წლებში 300-400 მოსწავლეს უტოლდებოდა. 20 მოსწავლეც აღარაა ტბეთის, ცინარეთის სამსაფეხურიან საჯარო სკოლებში. ვერც კი წარმოვიდგენდით, თუ ასე უცებ დაცარიელდებოდა სოფელი ჯაბნიძეები... წელს ყველა სოფელში აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით ასფალტ-ბეტონისაფარიანი გზები გვექნება. გარკვეულ მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაიგება წაბლანა-მთა ღომას 7-კილომეტრიან გზაზე. სოფელი ცინარეთი შემოვლითი გზით დაბა შუახევის ცენტრს უკავშირდება. ბეტონის საფარი დაიგება ცინარეთი-რიკიხეთის გზაზე. კვირიაული ისტორიული დასახლებაა. აწ განსვენებულ პროფესორ ბიჭიკო დიასამიძეს თუ ვერწმუნებით, ეს ტერიტორია მთელი ხეობის კულტურული და სამეურნეო ცენტრი ყოფილა. ტოპონიმი ნადარბაზევიც მრავლისმეტყველია. ქართველი მეფეები დარბაზის სხდომებს აქაც ატარებდნენ. საბჭოთა რეჟიმის წლებში აქ სასაზღვრო კომენდატურა იყო. რამდენიმე წლის განმავლობაში კომენდატურის შენობაში განთავსებული იყო უჩამბის საუბნო საავადმყოფო, თემის ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკა, უჩამბის კულტურის სახლის დირექცია. ახლაც ერთ შენობაში თემის ადმინისტრაცია, პირველადი სამედიცინო ცენტრია შეკედლებული. წელს კვირიაულისა და სოფელ სამოლეთის ცენტრების კეთილმოსაწყობად 300 ათასი ლარია მობილიზებული.

- მთა ღომას ტურისტული პოტენციალის ასათვისებლად, სხვა სოფლების ცენტრების კეთილმოწყობისთვის რა კეთდება?

- პირველად თქვენი გაზეთით მივაპყარით მკითხველის, ადგილობრივი და რეგიონული ხელმძღვანელების ყურადღება მთა ღომას ტურისტული პოტენციალის ათვისებას. დღეს სიტყვა საქმედ იქცა. განაშენიანება, კეთილმოწყობა, ადგილობრივების სიკეთეზე ზრუნვა ჩვენი საქმიანობის მთავარი მიმართულებაა. ყველა გვიწონებს ცინარეთის, ლაკლაკეთის, ტბეთის ცენტრების კეთილმოწყობის სამუშაოებს. შარშან კონკურსში გამარჯვებულ მეწარმეს მეტი გულისხმიერება რომ გამოეჩინა, სოფელ წაბლანის ცენტრის კეთილმოწყობა დასრულდებოდა. წელს საქმეს ზურაბ ზოიძემ მოჰკიდა ხელი. იმედია, იგი უპასუხისმგებლოდ არ მოეკიდება საქმეს. რიგ ტერიტორიებზე ფერდსამაგრი სამუშაოები შესრულდება.

- რიკიხეთის 9 აპრილის ხეივანი უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზეა. ადიდებულმა ტბეთისწყალმა იქაურობა იავარქმნა. რიგი სამუშაოები შესრულდა. კიდევ რა იგეგმება?

- მალე მუნიციპალტეტის შესყიდვების სამსახური წარდგენილი პროექტის საფუძველზე კონკურსს გამოაცხადებს, რომლის საპროექტო ღირებულება 298 ათასი ლარია. თანხის ნაწილი წელს იქნება ათვისებული. პროექტი ითვალისწინებს მდინარე ტბეთისწყლის მარჯვენა ნაპირზე საყრდენი კედლის მოწყობას. საყრდენი კედელი მოაჯირებით გაკეთდება ხეივნის აღმოსავლეთ მხარეს, დაყენდება ლამპიონები. ადგილობრივ და უცხოელ ვიზიტიორებს ზაფხულის ცხელ დღეებში ხელოვნურ ტბაში ბანაობის შესაძლებლობა ექნებათ. მდინარეზე გაკეთდება დაკიდებული ხიდი. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ რიკიხეთის 9 აპრილის ხეივანი და კვირიაულის დასახლების ცენტრი საუკეთესო ტურისტულ ობიექტებად იქცეს.

- საირიგაციო საშუალებებს «აგროსერვისცენტრის» სახით ახალი მეპატრონე ჰყავს...

- იმ ხანად უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ივანაძე იყო. მუნიციპალიტეტის მაშინდელი გამგებლის ტარიელ ებრალიძისა და თენგიზ ივანაძის ძალისხმევით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამელიორაციო სამსახურის თანადგომით, სარწყავი არხის 9-კილომეტრიან მონაკვეთზე 150 მმ-დიამეტრის წყალგამტარი მილები ჩაწყვეს, მაგრამ ნაჩქარევად და უხარისხოდ გაკეთებულმა სოფელს სიკეთე ვერ მოუტანა. 21-კილომეტრიანი არხი ისევ მოუხმარებელია. შარშან გარკვეულ მონაკვეთზე სამუშაოების შესასრულებლად კონკურსი გამოცხადდა, მაგრამ თანხის სიმცირისა და სამუშაოთა მასშტაბურობის გამო, საქმეს ხელი არავინ მოჰკიდა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, «აგროსერვისცენტრის», შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ცინარეთის სარწყავ არხზე არსებული მდგომარეობა იციან. როგორც კი თოვლი დადნება, სპეციალისტების, პროექტანტების მოვლინებას გვპირდებიან. ისიც ვიცით, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მილები უკვე შესყიდული აქვს. დროა ვიფიქროთ სოფელ ჯაბნიძეებში არსებული სარწყავი არხის აღდგენაზე. რიგი სამუშაოებია შესასრულებელი კვირიაულის, ლაკლაკეთის, ვერხვანის სარწყავ არხებზე. სინოპტიკოსები წელსაც ცხელ და გვალვიან ზაფხულს ვარაუდობენ. ფერმერებმა წლის მოსავალი განადგურებისგან რომ გადაარჩინონ, საირიგაციო საშუალების მიზნობრივად გამოყენებაა საჭირო. ამ საქმეში «აგროსერვისცენტრის» თანადგომის იმედი გვაქვს.

- სავალალო მდგომარეობაშია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლი და საკულტო დაწესებულებების ნაშთები...

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ჭვანის ხეობაში არსებული ისტორიული ციხის (ოთოლთა) რესტავრაცია-რეკონსტრუქცია-კონსერვაციას იწყებს. იგივე უნდა გაკეთდეს ცინარეთის ციხეზეც. ეს საფორტიფიკაციო ნაგებობა სავალალო მდგომარეობაშია. დრო ანადგურებს ციხის ქიმზე შემორჩენილ ქვევრებს, იშლება კედლები. ადგილობრივი ძალებით ციხეზე ჯვარი აღვმართეთ. ახლა დენის გაყვანას და მის განათებას ვაპირებთ. ადგილობრივი მოსახლეობა ციხესთან მისასვლელი გზა-ბილიკის მოწყობას, ციხის ნაშთების მცენარეებისგან გაწმენდას ითხოვს. თავის დროზე არქეოლოგ ამირან კახიძის ხელმძღვანელობით, ჯაბნიძეებსა და წაბლანაში არსებული საკულტო ნაგებობების (ეკლესიების) ნაშთების არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა. მისასვლელი ბილიკები აქაც მოსაწყობია. ადმინისტრაციული ერთეულის რამდენიმე ტერიტორიაზე საუკუნეების წინათ დამარხული ქვევრები აღმოაჩინეს, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მესვეურთ დაინტერესება არ გამოუჩენიათ. სოფელ გოგაძეების ტერიტორიაზეა მეტალურგიული კერის ნაშთები. 2014 წლის ოქტომბერში ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის სადაზვერვო ჯგუფმა ამირან კახიძის ხელმძღვანელობით ჯერ დაზვერვითი, შემდგომ წლებში საველე სამუშაოებიც ჩაატარა, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიიყვანეს. მოსაწესრიგებელია ტერიტორია, რომ იგი ტურისტულ ობიექტად იქცეს. იგივე ითქმის ჯაბნიძეებში არსებულ ეკლესიის ნაშთებზე. არქეოლოგიური ექსპედიციიდან რამდენიმე წელი გავიდა, ტერიტორია ისევ ეკალ-ბარდებმა და ბუჩქებმა დაფარა. ჩვენი ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებს დიდი ხნის ისტორია აქვს და მას სათანადო პოპულარიზაცია სჭირდება.

> ***„კარგად მახსოვს, ზეკარაში, ლომსიანეთში, ოკისში, გორაში, აფხაკეთაში დაწყებითი სკოლები რომ იყო. ახლა ზამთრობით ორი კომლი რჩება გორაში, ერთი - ოკისში, ზეკარა საერთოდ მოიშალა, ვერხვანის, კვირიაულის და ლაკლაკეთის დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი მინიმუმამდეა ჩამოსული. თუ ასე გაგრძელდა, გოგაძეების სამსაფეხურიანი საჯარო სკოლის ბედს გაიზიარებს უჩამბა***

„სრული სიცრუეა!“

ასე გამოეხმაურა საავტომობილო გზების დეპარტამენტი ამას წინათ „ტვ პირველის“ ეთერში გასულ სიუჟეტს, თითქოს ბათუმის მაგისტრალის მშენებლობის ფარგლებში, უხარისხობის გამო, ხიდის კონსტრუქცია დაზიანდა და დაიშალა. ის ემსახურება მხოლოდ მაყურებლის შეცდომაში შეყვანას, - ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

მათივე ცნობით, სიუჟეტში მოტანილი არცერთი ფაქტი არ ყოფილა გადამოწმებული საავტომობილო გზების დეპარტამენტთან.

„გვსურს გამოვეხმაუროთ „ტელეკომპანია პირველის“ მორიგ ტყუილს, ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით და საზოგადოებას მივაწოდოთ სრული და სწორი ინფორმაცია.

ტელეკომპანიის ეთერში გასული სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც, თითქოს ბათუმის მაგისტრალის მშენებლობის ფარგლებში, უხარისხობის გამო, ხიდის კონსტრუქცია დაზიანდა და დაიშალა, არის სრული სიცრუე და ემსახურება მხოლოდ მაყურებლის შეცდომაში შეყვანას.

2023 წლის 28 მარტს, 4 რკინაბეტონის კოჭის ბათუმიდან გრიგოლეთის მიმართულებით ტრანსპორტირებისას, დაბა მახინჯაურთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, სატვირთო ავტომობილიდან გადმოვარდა ერთი რკინაბეტონის კოჭი, რომელიც შემდგომ გადაიტანეს გზის გვერდულზე და იქვე დაშალეს ნაწილებად. შესაბამისად, ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის ფარგლებში, არაფერი ჩანგრეულა და სამუშაოები მიმდინარეობს შეუფერხებლად.

ამჟამად, ბათუმის შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოების 70%-ზე მეტი უკვე შესრულებულია. დასრულებულია 3 გვირაბის და 14 ხიდის მშენებლობა, დარჩენილ 2 გვირაბზე და ხიდებზე სამუშაოები გრძელდება. პროექტი აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) მიერ ფინანსდება.

ტელეკომპანიის მიერ მომზადებულ სიუჟეტში მოტანილი არცერთი ფაქტი არ ყოფილა გადამოწმებული საავტომობილო გზების დეპარტამენტთან. სიუჟეტი აგებულია ტყუილზე, დამახინჯებულ ფაქტებზე და ემსახურება საკუთარი მაყურებლის შეცდომაში შეყვანას სახელმწიფო უწყებების დისკრედიტაციის მიზნით“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

ელენე კურტანიძის ნამუშევრებმა ჟიურის მოწონება ყველაზე მეტად დაიმსახურა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ფოტოხელოვან **ელენე კურტანიძისთვის** ფოტოგრაფია მხოლოდ გატაცება როდია. კამერის თვალით ის უფრო სრულყოფილად შეიმეცნებს ბუნებას, ადამიანებს, სილამაზეს... ბავშვობიდანვე იტაცებდა ფოტოგრაფია, ახლა კი თავის პროფესიადაც მოიხსენიებს... გაიმარჯვა „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალბატონ ელენეს ფოტორეპორტაჟი გოდერძის უღელტეხილსა და მის შემოგარენში მცხოვრებ მემთეურ-მლხენელი ქალების ცხოვრებაზე.*

- წარუდგინეთ საკუთარი თავი მკითხველს...

- მე ვარ ელენე კურტანიძე, პროფესიით - ბიოლოგი. შარშან დავამთავრე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი. გატაცებული გახლავართ ფოტოგრაფიით, რაც ჩემს ცხოვრებაში უკვე დიდ ადგილს იკავებს.

- ფოტოგრაფიით როდის დაინტერესდით და თქვენი პირველი ფოტოები რა თემატიკის იყო?



- ფოტოგრაფიით მოსწავლეობისას დავინტერესდი, როცა ახალგაზრდა ფოტომოყვარულთა ტრენინგზე მოვხვდი. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ჩემი და ფოტოგრაფიის ურთიერთობა. პირველი ფოტოაპარატიც მაშინ შევიძინე და კიდევ უფრო სერიოზულად მივუდექი საქმეს. ჩემი პირველი ფოტოები, ძირითადად, ბუნებას ასახავდა - პეიზაჟები, ცხოველები, ფრინველები... წარმოშობით ფოთიდან ვარ და მოგეხსენებათ, როგორი მდიდარი და გამორჩეულია კოლხეთის ეროვნული პარკი ლამაზი ბუნებით, საოცარი ადგილია ნებისმიერი ფოტოგრაფისთვის, მით უმეტეს, მათთვის, ვინც ბუნების თემატიკაზე მუშაობს. ულამაზესი ბუნებაა, რომელსაც ამაზონის ჯუნგლებსაც კი უწოდებენ. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ძალიან კარგი „მასალა“ მქონდა სამუშაოდ და ხელის გასაწაფად.

- „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ გამოცხადებულ ფოტოამბების კონკურსში გამარჯვება ალბათ იოლი არ იყო?

- ვთვლი, რომ გამარჯვება არცერთ კონკურსზე არაა მარტივი. არც „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ გამოცხადებული ფოტოამბების კონკურსი გახლდათ გამონაკლისი. ნამდვილად ღირსეული და გამორჩეული მონაწილეები იყვნენ წელს. მათაც ძალიან საინტერესო ფოტორეპორტაჟები შემოგვთავაზეს და მიხარია, რომ მათ შორის ჩემმა ნამუშევრებმა დაიმსახურა ჟიურის ყველაზე მეტი მოწონება და გაიმარჯვა.

- რამდენად მნიშვნელოვანია მსგავს კონკურსებში მონაწილეობა?

- ჩემთვის თითოეული კონკურსი მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, გავიმარჯვებ თუ არა. ყოველ კონკურსს მოაქვს დიდი გამოცდილება, რომელიც გამარჯვებაზე არანაკლებ ძვირფასია. რაც შეეხება ფოტოგრაფისთვის მსგავსი კონკურსების მნიშვნელობას, ეს ალბათ ინდივიდუალურია და თავად ფოტოგრაფზეა დამოკიდებული. არიან ფოტოგრაფები, რომლებიც სხვა მიმართულებით მოღვაწეობენ და ინტენსიურად არ მონაწილეობენ კონკურსებში, თუმცა ბევრისთვის, როგორც ჩემთვის, მსგავსი კონკურსები საინტერესო და პრიორიტეტულია.

- ზემო აჭარის ფოტორეპორტაჟზე რას იტყვით?

- ზემო აჭარის ფოტორეპორტაჟი მოიცავდა გოდერძის უღელტეხილსა და მის შემოგარენში მცხოვრები მემთეური-მლხენელი ქალების ცხოვრებისა და შრომის ამსახველ ფოტოებს. ეს ქალბატონები ყოველ ზაფხულს გოდერძის იალაღებზე ადიან და ნახირს უვლიან, პარალელურად, მცენარეებს აგროვებენ და სხვადასხვა სახის სამკურნალო საშუალებას ამზადებენ ბებიებისა და დედების რეცეპტებით. ასეთი ქალები გოდერძიზე ცოტანი დარჩნენ და იშვიათად თუ შეხვდებით.

- როგორც გავიგე, მოპოვებული მასალით იგეგმება წიგნის გამოცემაც...

- დიახ, უკვე აპრილის ბოლოს იგეგმება წიგნის პრეზენტაცია, რომელშიც თავმოყრილი იქნება მლხენელი ქალბატონების ისტორიები და ის რეცეპტები, რომლებიც მათ გაგვანდეს. წიგნი ნამდვილად საინტერესო გამოვიდა და, ვფიქრობ, მკითხველსაც მოეწონება.

- „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ შესახებაც გვიამბეთ: როდის დაარსდა, რა აქტივობების განხორციელებას აპირებს...

- „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ დიდი ხანია რაც არსებობს და ხელს უწყობს ქალთა ინფორმირებულობას სხვადასხვა მიმართულებით. მათი ორგანიზებით ეწყობა სხვადასხვა სახის საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები და სხვა. უახლოეს მომავალში სწორედ მათი ორგანიზებით მოეწყობა ხულოში წიგნის - „აჭარელი მლხენელების“ პრეზენტაცია.



- მრავალმხრივი ინტერესებით გამოირჩევით: ხართ ბიოლოგი, ფოტოხელოვანი, სწავლობთ ფორტეპიანოზე დაკვრას, ეუფლებით იაპონურ ენას... სად ხედავთ საკუთარ თავს მომავალში?

- ძირითადად - ისევ ბიოლოგიასა და ფოტოგრაფიაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სფერო ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, პრაქტიკამ მაჩვენა, რომ ისინი ხელს არ უშლიან ერთმანეთს და ვახერხებ, ორივე სფეროში წარმატებული ვიყო.

- შემდგარ ადამიანად მიიჩნევთ საკუთარ თავს?

- დარწმუნებით შემიძლია გიპასუხოთ - დიახ. მიუხედავად ამისა, საკუთარ თავზე მუშაობას და თვითგანვითარებას არ ვწყვეტ. პირიქით, ეს კიდევ უფრო მეტ მოტივაციას მაძლევს.

- ცნობილ ზნეობრივ ცნებათა შორის უპირატესობას რომელს ანიჭებთ?

- სამართლიანობას. სამართლიანობის მნიშვნელობა გაცილებით ფართოა, ვიდრე, რასაც ამ სიტყვაში გულისხმობენ სასამართლო პროცესებზე. იგი მოიცავს პატიოსნებას, ურთიერთდათმობას, სიმართლეს, დაპირების შესრულებას და ცხოვრების მრავალ მხარეს.

- ბუნებაში როცა ხართ...

- დრო თითქოს ჩერდება. ბუნებაში ყველაფერს სხვანაირად აღვიქვამთ. ბუნება არის იმ სილამაზის, სიჯანსაღის წყარო, რომელიც ყველას ასე ძალიან გვჭირდება.

- დაბოლოს, რა გსურთ ხმამაღლა გასძახოთ სამყაროს?

- ყველაფერი გამოვა, შეუძლებელი არაფერია.

„ევროკავშირი სრულად უჭერს მხარს საქართველოს მდგრადობის ძალისხმევას რეგიონული უსაფრთხოების რთულ სიტუაციაში“

ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის განცხადებით, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს სხდომის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას რეფორმების განხორციელების პროცესი განიხილეს.

როგორც ვარჰეიმ „ტვიტერზე“ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნა, უპირატესი ყურადღება დაეთმო საქართველოს მიერ 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესს.

„საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს ლუქსემბურგში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს სხდომაზე (FAC) შევხვდი, რათა განგვეხილა რეფორმების პროცესთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და განსაკუთრებით - 12 პრიორიტეტის განხორციელების პროცესი.

ევროკავშირი სრულად უჭერს მხარს საქართველოს მდგრადობის ძალისხმევას რეგიონული უსაფრთხოების რთულ სიტუაციაში“, - განაცხადა ოლივერ ვარჰეიმ.

ამირან გურიელიძე

დედამიწის დღე აღნიშნეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

გაეროს გენერალური ასამბლეის დადგენილებით, დედამიწის საერთაშორისო დღე 1971 წლიდან აღინიშნება და მიზნად ისახავს ბუნებრივი კატასტროფების აცილებასა და ეკოსისტემისადმი მოფრთხილებას.

დაბა ქედის ტერიტორიაზე ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ქედის მუნიციპალიტეტის მერ როლანდ ბერიძესთან, მერის პირველ მოადგილე იმედა ვასაძესთან ერთად ხეები დარგეს.

ღონისძიების ფარგლებში, ათივე ადმინისტრაციულ ერთეულში დასუფთავების აქცია გაიმართა, რომელშიც თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლები ჩაერთნენ.

- ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია, ჩვენი და ადგილობრივი მოსახლეობის ვალია, ვიზრუნოთ გარემოს გამწვანებასა და გაჯანსაღებაზე, - გვითხრა როლანდ ბერიძემ.

საჩუქარი – ეთერ ნაკაშიძეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სამოლეთის მკვიდრი ეთერ ნაკაშიძე ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო. ახლა პენსიონერია. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო მისი მეუღლე შოთა ბერიძე. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ეთერი ოჯახს მარტო უძღვება. მას ტელევიზორი დაუზიანდა. მორიგი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ივანაძე ეთერ ნაკაშიძეს ოჯახში ესტუმრნენ და საჩუქრად პლაზმური ტელევიზორი გადასცეს.

- შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო ასეთ საქველმოქმედო აქციებს ხშირად ატარებს. აქცია ერთჯერადი არ არის და საკრებულო სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე ზრუნვას მომავალშიც გააგრძელებს. მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისთვის, რომლებიც თავიანთი ხელფასიდან საქველმოქმედო ფონდს ყოველთვიურად ავსებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად, - თქვა როსტომ ლორთქიფანიძემ.

„სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ქართული ხელოვნება და სცენა ნოდარ კახიძემ ბავშვობიდანვე შეიყვარა. ახლა ქედა მას წარმატებულ ხელოვანად იცნობს და სათანადო პატივსაც მიაგებს.

ქედის კულტურის ცენტრის დარბაზში, კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკის ნოდარ კახიძის სასცენო საქმიანობის 47 და დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა სახელწოდებით „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“.

ნოდარი 1976 წლიდან საქმიანობს კულტურის სფეროში. თამაშობდა მიუზიკლებში: „პროვინციელი გოგონა“ და „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების“, მღეროდა სხვადასხვა ვოკალურ-ინსტრუმენტურ ანსამბლში, 1997 წლიდან ქედის კულტურის ცენტრთან არსებულ ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „ელესას“ წევრია.

იუბილარს ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მიესალმნენ და სამახსოვრო ადრესები გადასცეს. საღამოს ლია მახარაძე უძღვებოდა.

უკრაინა

უკრაინამ რუსული პოლიტიკური პარტიებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო. უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, შესაბამის განკარგულებას ხელი უკრაინის პრეზიდენტმა მოაწერა. გავრცელებული ინფორმაციით, სანქციები ჯამურად 320-ზე მეტ რუსულ კომპანიასა და 40 ფიზიკურ პირს ეხება. ფიზიკური პირებიდან 25 რუსეთის მოქალაქეა, 4 - შვეიცარიის, 2 - ირანის, 8 - მალის და ერთი პირი დაუდგენელი მოქალაქეობით. სანქცირებული კომპანიების უმრავლესობა რადიოელექტრონიკისა და კავშირის სფეროს ეხება.

* * *

რუსული ძალები ძირითად ძალისხმევას ბახმუტის, ავდიივკისა და მარინკას მიმართულებებით შეტევითი ოპერაციების ჩატარებაზე მიმართავენ, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. უწყების ცნობით, უკრაინელებმა აღნიშნული მიმართულებებით მტრის 60-მდე შეტევა მოიგერიეს, ხოლო ბახმუტისა და მარინკასათვის მძიმე ბრძოლები გრძელდება. „დღის განმავლობაში მტერმა წარუმატებელი შეტევითი ოპერაციები ჩაატარა გრიგოროვკის, ბოგდანოვკისა და ივანოვსკოეს დასახლებების მიდამოებში. მტრის დაბომბვის შედეგად არაერთი დასახლება დაზარალდა“, - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ინფორმაციით, რუსულმა ძალებმა შეტევითი ოპერაციები განახორციელეს დონეცკის ოლქის ნოვოკალინოვოსა და პერვომაისკის ტერიტორიებზე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს და დიდი დანაკარგები განიცადეს.

* * *

უკრაინა ვერ მიატოვებს ბახმუტის დაცვას, რადგან მისი აღება რუს ოკუპანტებს ფრონტის გაფართოებაში დაეხმარება, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, თუ რუსული ჯარები ქალაქს დაიკავებენ, ეს შეიძლება გახდეს ხელშემწყობი დონეცკის ოლქის ქალაქების - კრამატორსკისა და სლავიანსკის წინააღმდეგ შეტევისთვის. „შეუძლებელია, ბახმუტზე უარი ვთქვათ, რადგან ეს ხელს შეუწყობს ფრონტის გაფართოებას და რუსეთის ჯარებსა და კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერს“ მისცემს შანსს, უფრო მეტი ჩვენი ტერიტორია დაიკავონ“, - აღნიშნა ზელენსკიმ. ცნობისათვის, რუსული ძალები რამდენიმე თვეა უკრაინის ქალაქ ბახმუტზე კონტროლის მოპოვებას ცდილობენ, თუმცა მძიმე დანაკარგებს განიცდიან.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი დარწმუნებულია, რომ უკრაინას შეუძლია რუსეთის შეჭრა მოიგერიოს და გამარჯვებას მიაღწიოს. „ვიმედოვნებთ და გვჯერა, რომ ყოველდღიური წარმატებებით, ჩვენ ახლოს ვართ გამარჯვებასთან“, - განაცხადა ზელენსკიმ Al Arabiya-სთვის მიცემულ ინტერვიუში და დასძინა, რომ უკრაინელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ოკუპირებული მიწები დაიბრუნონ და თავიანთი ქვეყანა განავითარონ. უკრაინაში არსებული ვითარების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ, ზელენსკიმ განაცხადა, რომ სიტუაცია რთულია, მაგრამ მისი ქვეყანა იბრძვის და ძლიერდება. „ჩვენი არმია ემზადება კონტრშეტევისთვის და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ იგი“, - აღნიშნა ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მოკავშირეებს მხარდაჭერისთვის, მაგრამ აღნიშნა, რომ უკრაინის დახმარებით ისინი საკუთარ თავსაც უჭერენ მხარს. „სიმართლე ისაა, რომ რუსეთი უკრაინაზე არ გაჩერდება და ეს ყველასთვის გასაგებია. ასე რომ, მივმართავ ჩვენს მოკავშირეებს, მხარი დაგვიჭირეთ, რადგან უპირველეს ყოვლისა, ეს არის დაბალი ფასი, რომელიც უნდა გადაიხადოთ, რადგან რუსეთი ამაზე არ გაჩერდება“, - განაცხადა ზელენსკიმ. მისივე თქმით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინაში საკუთარი სიცოცხლისთვის და არა საკუთარი ქვეყნისთვის იბრძვის.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულებას თქმით, განცხადებები მთელი მსოფლიოდან, რომლებთაც მოუწოდებენ მოლაპარაკებისკენ, უგულებელყოფაა იმ ფაქტის, რომ რუსეთი არ არის მზად ნამდვილი მშვიდობისთვის. დმიტრო კულება გერმანულ გამოცემა Die Welt-თან აცხადებს, რომ რუსეთი აგრძელებს სასტიკ თავდასხმებს უკრაინის ქალაქებსა და სოფლებზე, რათა მოკლას მეტი ადამიანი და დაიპყროს უკრაინის მეტი ტერიტორია, რაც არ მიუთითებს მოლაპარაკების, აგრესიის დასრულებისა და უკრაინაში მშვიდობის აღდგენის სურვილზე. „მთელ მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც უკრაინაზე მეტად სურს მშვიდობა, მაგრამ ჩვენ ასევე ვიცით, რომ ნამდვილი მშვიდობა უნდა იყოს სამართლიანი და მდგრადი“, - აღნიშნა კულებამ. მან განმარტა, რომ უკრაინული მხარე სწავლობს წარდგენილ სამშვიდობო წინადადებებს და მიესალმება ყველა ინიციატივას, რომელიც პატივს სცემს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, გაეროს წესდებას და გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ რეზოლუციებს. „არც უკრაინისთვის და არც დანარჩენი მსოფლიოთვის არ იქნება ნამდვილი მშვიდობა, თუ რუსეთი სრულად არ აგებს პასუხს ყველა თავის დანაშაულზე, მათ შორის უკრაინის წინააღმდეგ აგრესიაზე და ყველა შემდგომ სამხედრო დანაშაულზე, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე და გენოციდზე“, - აღნიშნა კულებამ. მისივე თქმით, ევროპისა და ატლანტიკური უსაფრთხოების მომავალი უკრაინის ბრძოლის ველზე წყდება.

მოამზადა
ნაირა ზუტკარაძემ

რუსეთი უკრაინაში სხვადასხვა მიმართულებით შეტევისთვის ემზადება?

აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორმა ჯონ კირბიმ „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსმა დამპყრობლებმა შესაძლოა, შეტევა დაიწყონ ფრონტის რამდენიმე მიმართულებაზე



უკრაინაში ამინდის გაუმჯობესებასთან ერთად.

„ჩვენ ვიცით, რომ გაზაფხულზე, როდესაც ამინდი გაუმჯობესდება, ის კი უკვე იწყებს გაუმჯობესებას, შეიძლება ველოდოთ, რომ რუსები მოინდომებენ შეტევაზე გადასვლას ფრონტის ხაზის რამდენიმე მონაკვეთზე. ჩვენ არ ვიცით ზუსტად, სად და როგორ გააკეთებენ ისინი ამას, მაგრამ ჩვენ გვინდა უზრუნველყოთ, რომ უკრაინელები შეძლებენ ამისგან თავის უკეთ დაცვას. თუ ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას საკუთარი შეტევის ოპერაციის წამოწყების შესახებ, გვსურს უზრუნველყოთ, რომ მათ ეს შეძლონ“, - განაცხადა კირბიმ.

მისი ეს სიტყვები შესაძლოა, სულაც არ იყოს ჭეშმარიტებას მოკლებული - რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ მსოფლიო სახიფათო ზღვარს მიუახლოვდა.

„ჩვენ ისევ, როგორც ცივი ომის წლებში, მივუახლოვდით სახიფათო და, შესაძლოა, კიდევ უფრო სახიფათო ზღვარს. სიტუაციას ამძიმებს მრავალმხრივობისადმი რწმენის დაკარგვა, როდესაც დასავლეთის ფინანსური და ეკონომიკური აგრესია ანადგურებს გლობალიზაციის სარგებელს. როდესაც შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები ტოვებენ დიპლომატიას და მოითხოვენ დაპირისპირებას „ბრძოლის ველზე“. ეს ყველაფერი გაეროს კედლებშია, რომელიც შეიქმნა ომის საშინელებების თავიდან ასაცილებლად. პასუხისმგებელი, საღად მოაზროვნე ძალების ხმები, მოწოდებები, რომ აჩვენონ პოლიტიკური სიბრძნე, დიალოგის კულტურის აღორძინება, ჩაძირულია მათ მიერ, ვინც აიღო კურსი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ფუნდამენტური პრინციპების შელახვის მიზნით“, - განაცხადა ლავროვმა.

ის გამოვიდა მოწოდებით, დაუბრუნდნენ საწყისებს - გაეროს წესდების მიზნებისა და პრინციპების დაცვას „მთელი მათი მრავალფეროვნებითა და ურთიერთკავშირებით“.

მოამზადა
ამირან გურიელიძე

აჭარის პოპულარიზაცია - ყაზახეთში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ყაზახეთში აჭარის სამთო და საზღვაო ტურისტულ პროდუქტებს გაეცნენ - აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონი ყაზახეთის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე წარადგინა, სადაც ვიზიტიორებს რეგიონში მოგზაურობისა და არსებული ტურისტული სერვისების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების საშუალება ჰქონდათ.

„გამოფენის ფარგლებში დეპარტამენტის მენეჯმენტმა ასევე მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფორუმში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლები აჭარაში ტურიზმის მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს გაეცნენ.

სამომავლო თანამშრომლობის მიზნით შეხვედრები გაიმართა მსხვილი ტურისტული სააგენტოების, სარეკლამო კომპანიების, მედიის წარმომადგენლებთან და ბლოგერებთან, მათ შორის Harper's Bazaar-ის, Elle-ის და Forbs-ის მენეჯერებთან. ყაზახეთი აჭარისთვის ერთ-ერთი საინტერესო ტურისტული ბაზარია, საიდანაც ბათუმის მიმართულებით ზრდადია, როგორც ვიზიტორების, ისე პირდაპირი ფრენების რაოდენობა. გასული წლის მსგავსად, დეპარტამენტი წელსაც გეგმავს ყაზახი ჟურნალისტებისა და ტურისტული სააგენტოების მოწვევას რეგიონში, რითაც ხელს შეუწყობს ყაზახი ვიზიტორების მოზიდვას საქართველოში", - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

მშობელთა საყურადღებოდ!

ბავშვებს, რომელთაც 6 წელი პირველ ნოემბრამდე უსრულდებათ, სკოლაში სწავლის დაწყების შესაძლებლობა ექნებათ. ამ შემთხვევაში მშობლის გადაწყვეტილება ნებაყოფლობითი იქნება. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში დაგეგმილი შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოამზადა, პარლამენტში უკვე ინიცირებულია და მას დაჩქარებული წესით განიხილავენ.

„ზოგადი განათლების შესახებ“ მოქმედი კანონით, ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი, რომელიც პირს პირველ ოქტომბრამდე უსრულდება.

პარლამენტში წარდგენილი კანონის პროექტის გათვალისწინებით, სკოლებში სწავლის დაწყების ასაკი 6 წელია, რომელიც პირს სასწავლო წლის დაწყების თარიღის - 15 სექტემბერის ჩათვლით უნდა უსრულდებოდეს. სასწავლო წლის დაწყების მომდევნო დღიდან პირველ ნოემბრამდე დაბადებული ბავშვები კი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შემთხვევაში ჩაირიცხებიან.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განმარტავს, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ბავშვის მზაობისა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება ექნება გააკეთოს არჩევანი 16 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე დაბადებულ ბავშვებს გააგრძელებინონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიღება სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართვით ან პირველკლასელებად დაარეგისტრირონ.

ამასთან, უწყების ინფორმაციით, სასკოლო ასაკის 1-ელ ნოემბრამდე გადაწევის შემთხვევაში, მოსწავლეთა რაოდენობა მაქსიმუმ 4 800 ერთეულით გაიზრდება. შედეგად საჭირო გახდება სკოლების დამატებითი ვაუჩერული დაფინანსება 1,209,6 ათასი ლარის ოდენობით. ამას გარდა, საჭირო გახდება სკოლების აღჭურვა დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებით: - 4 800 ბუკი მოსწავლეებისთვის და 200 კომპიუტერი პირველი კლასის დამრიგებლისთვის - ერთეულის ღირებულება 573 ლარი - ბიუჯეტი 2,865,0 ათასი ლარი. სახელმძღვანელოების კომპლექტი - 192,0 ათასი ლარი და მერხი და სკამი - 657,6 ათასი ლარი.

კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის 2023 წელს აუცილებელი იქნება 4,924,2 ათასი ლარი, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულია.

ამირან გურიელიძე

მკვლელობა - განთიადში

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში მკვლელობა მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, მოკლულიც და დანაშაულის სავარაუდო ჩამდენიც მოლდოვის მოქალაქეები არიან, რომლებიც სოფელ განთიადში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში სარემონტო სამუშაოებს ასრულებდნენ.

ადგილობრივების თქმით, ერთმა მეორეს თავში სასიკვდილო დარტყმა მძიმე საგნით მიაყენა, რის შედეგადაც 50 წლამდე ასაკის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

სავარაუდო ეჭვმიტანილი სამართალდამცავებმა უკვე დააკავეს.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

ამირან გურიელიძე

პოლიტდაიჯესტი

მე-3 გვერდიდან

სამინისტრომ კონსულტაციები დაიწყო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან, ევროპის იშვიათი დაავადებების ასოციაციასთან, მწარმოებელთან გასული წლის ბოლოს. თუ ამ მედიკამენტის ქვეყანაში შემოტანის ინტერესი არ გვქონდა, მაშინ რა მიზნებს ემსახურებოდა ეს კონსულტაციები, რაც დღესაც გრძელდება?! ამ ტიპის ფორმატში ძალიან რთულია კონსტრუქციული გადაწყვეტილების მიღება. თუ ეს ყველაფერი ბავშვის ინტერესს ემსახურება, მაშინ მთავარია, რომ ეს გადავიდეს კონსტრუქციულ, სამეცნიერო რეჟიმში და ვიმსჯელოთ რისკებზე. იმ რისკების გადაზღვევის გზებზე, რაც შესაძლებელია ქვეყანაში ინოვაციური მედიკამენტის დანერგვას უკავშირდებოდეს“, - განაცხადა გაბუნიამ.

* * *

ქოლცენტრების საკითხის სპეკულირების საგნად ქცევაში ადანაშაულებს „ქართულ ოცნებას“ „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე. მისი აზრით, მმართველი გუნდის პირობებში სამართლიანი გამოძიების არავის სჯერა.

„საგამოძიებო კომისიის შექმნის აუცილებლობას ვხედავ საზოგადოების მაღალი ინტერესის და იმის გამოც, რომ ეს საკითხი ხდება სპეკულირების საგანი „ქართული ოცნების“ მხრიდან. ამასთან, ძალიან კარგად ვიცით, რომ მათი განცხადებები, თითქოს პროკურატურა ამ საქმესთან დაკავშირებით თანამშრომლობს (საერთაშორისო გამოძიებასთან), არ შეესაბამება სიმართლეს და არ გვჯერა საზოგადოების დიდ ნაწილს, რომ „ქართული ოცნება“ გამოიძიებს რაიმეს სამართლიანად, პოლიტიკური ინტერესების გარეშე. უმნიშვნელოვანესია, რომ პარლამენტში შეიქმნას სივრცე იმისთვის, რომ საზოგადოებამ სიმართლე გაიგოს“, - განაცხადა სამნიძემ.

* * *

ჟურნალისტებთან საუბარში ოპოზიციონერმა დეპუტატმა ხატია დეკანოიძემ განაცხადა, რომ პარლამენტში ინიცირებული ყველა საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი უნდა „გაცოცხლდეს“. იგი ე.წ. ქოლცენტრების საქმეზე პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას ემხრობა.

„ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებას კითხვებზე პასუხი გაეცეს. არსებობს ამხელა სქემები, ამხელა „ჰაბი“, რომელიც ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულია და მასზე კონკრეტული პასუხები უნდა მოვისმინოთ. აქამდე ვერცერთ საკითხზე კონკრეტული პასუხი ვერ მოვისმინეთ, თუ ვინ არიან ადამიანები, ვინც მფარველობდა, ვინც დანაშაულის სქემებს აწყობდა. პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნას საფუძვლად საზოგადოებაში არსებული ინტერესი უნდა დაედოს. ზოგადად, პარლამენტში საგამოძიებო კომისიები უნდა მოქმედებდეს. ვფიქრობ, ყველა საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა უნდა „გაცოცხლდეს“, - განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

მოამზადა
მარი მიდასელმა

ხსოვნა

ზურაბ მელიქიშვილი

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია «ბერმელის» თანადამფუძნებელი, ცნობილი ეკონომისტი ზურაბ ჯემალის ძე მელიქიშვილი.

იგი დაიბადა 1955 წელს შუახევის რაიონის სოფელ ფურტიოში. მშობლიურ სოფელში საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შრომითი საქმიანობა დაიწყო. მისი თაობის ახალგაზრდების მსგავსად, სავალდებულო სამხედრო სამსახური გაიარა.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ საქართველოს მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. წინა საუკუნის 80-იანი წლების აჭარიდან თბილისში სასწავლებლად წასულ სტუდენტებს კარგად ახსოვთ მისი ინიციატივები, სტუდენტურ მოძრაობებში ჩართულობა, სწავლისა და მეცნიერული ძიებებისკენ სწრაფვა.

მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა, თანამოსაქმეებისადმი კოლეგიალური დამოკიდებულება გამოავლინა იმ წლებში, როცა შუახევის აგროსამრეწველო გაერთიანებაში უფროსი სპეციალისტის, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში ეკონომისტის პოზიციაზე მუშაობდა.

ქართული სოფელი მაშინაც და ახლაც გონიერი, ნოვატორი ადამიანების შრომით, ნიჭით საზრდოობს, ზურაბმა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად 1990-2000 წლებში მრავალ სიახლეს დაუდო სათავე.

2000 წელს მეუღლე ეთერ ბერიძე-მელიქიშვილსა და შვილებთან ერთად დაფუძნა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია «ბერმელი». 22 წლის განმავლობაში მის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობდა. სამმა პიროვნებამ დროის ამ მონაკვეთში ეს ორგანიზაცია ძლიერ, მობილურ, შრომისმოყვარე გუნდად აქცია, რომელმაც სახელი დაიმკვიდრა ქვეყნის საბანკო სისტემაში. ზურაბისა და სხვების დამსახურებაა, რომ «ბერმელს» ფილიალები აქვს თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში.

ზურაბ მელიქიშვილის საქმიანობა მხოლოდ ბიზნესით არ ამოიწურებოდა. მან ცნობილი ისტორიკოსები, ახალგაზრდა მკვლევარები შემოიკრიბა მელიქიშვილების გვარის ისტორიის, მშობლიური სოფლისა და იმ დასახლების წარსულის შესასწავლად, სადაც თავად და გვარის სხვა წარმომადგენლები სახლობენ.

იგი ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო იმ გათხრებისა, რომელიც აჭარის არქეოლოგებმა აწარმოეს იმ ტერიტორიაზე, სადაც მელიქიშვილების წინაპრები სახლობდნენ და ეკლესიის ნაშთებიდა იყო დარჩენილი.

სიბრძნის ასაკში შესული ახალგაზრდების ღირსეული ქომაგი და დამკვალიანებელი იყო. მისი დამსახურებაცაა, რომ «ბერმელი» დამწყები ბანკირების, ოპერატორების გზამკვლევად და დამკვალიანებლად იქცა.

დიდი იყო ზურაბისა და «ბერმელის» სხვა ხელმძღვანელების თანადგომა მშობლიური შუახევისა და სათაყვანებელი ფურტიოს მოსახლეობის მიმართ. იგი ხშირად აფინანსებდა სხვადასხვა კულტურულ და მასობრივ ღონისძიებებს, რომლებიც ბოლო წლებში შუახევსა და ზამლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ტარდება.

ოჯახისა და შთამომავლობისადმი მისი დამოკიდებულება სანიმუშო იყო და ყველასთვის მისაბაძად ითვლებოდა.

ზურაბ მელიქიშვილი წუთისოფლიდან მაშინ წავიდა, როცა მისი გამოცდილება, შესაძლებლობები ძალიან სჭირდებოდა ოჯახსაც, საზოგადოებასაც და სამსახურსაც. იგი დააკლდა ქვეყანას, მშობლიურ კუთხესა და შუახევს. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს ჩვენს გულებში.

შუახევის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა;

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია «ბერმელი»;

მელიქიშვილების საგვარეულო კავშირი;

საზოგადოება «ზამლეთის» გამგეობა

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 24/04/23, 22 50 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ბათუმის კლასიკური ბალეტის სკოლა მშობლიურ ქალაქში ჯილდოებით სავსე „ხურჯინით“ დაბრუნდა

რამდენიმე დღის წინ ლატვიაში ფესტივალზე „რიგის გაზაფხული 2020-2023“ გამგზავრებული ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლის 21-წევრიანი ჯგუფი მშობლიურ ქალაქში გუშინ, დილით დაბრუნდა. ამ საფესტივალო კონკურსში ჩვენი თანაქალაქელების მიერ მოპოვებული მთავარი მონაგარია ფესტივალის სპეციალური პრიზი „ბრინჯაოს ბალერინა“, რომელიც მთელ სკოლას მიენიჭა იმ წარმატებების გამო, რომლებიც ჩვენმა ბალერინებმა სხვადასხვა ნომინაციაში მოიპოვეს

კონკურსი-ფესტივალი „რიგის გაზაფხული 2020-2023“ ლატვიის დედაქალაქში ოთხი დღის (20-23 აპრილი) განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ ფორუმის მნიშვნელობაზე, პირველ რიგში, თვალნათლივ მეტყველებს ის, რომ მასში მონაწილეობა მხოლოდ პროფესიულ საბალეტო სკოლებს შეუძლიათ,

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კონკურსზე ისეთი ქვეყნების საბალეტო სკოლები წარსდგნენ, როგორებიცაა იტალია, საბერძნეთი, გერმანია, აშშ (მარგო ფონტეინის სკოლა) და სხვა, ჩვენი თანამემამულეების მიერ მოპოვებული ჯილდო კიდევ უფრო მნიშვნელოვნად წარმოჩნდება.

ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლამ ფესტივალზე 21 ნომერი გაიტანა. მათგან ყველაზე მეტი - 11 ნომერი კლასიკური ცეკვის ნომინაციაში საკონკურსოდ წარმოადგინეს, რადგან, ცხადია, კლასიკური ბალეტი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანია. კონკურსში ამ ნომინაციის გარდა კიდევ ორია დაწესებული - სახასიათო ანუ მსოფლიოს ხალხთა ცეკვები და თანამედროვე ბალეტი, ანუ მოდერნი. როგორ წარსდგნენ პუბლიკის წინაშე და თავი როგორ გამოიჩინეს, ამ თემაზე მკითხველი დაწვრილებით ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომრიდან, ბათუმის კლასიკური ბალეტის სკოლის დირექტორ ირმა მსხალაძესთან ინტერვიუთი შეიტყობს.

ფესტივალზე ნომინაციაში „სახასიათო ცეკვა“ პირველი ადგილი მოიპოვა საბალეტო სკოლის მეოთხეკლასელების მიერ შესრულებულმა საბავშვო ცეკვამ ბალეტიდან „შურალე“ (პედაგოგი - ნატალია მარტიროსიანი). მეოთხეკლასელებმა ასევე გაიმარჯვეს ამავე ნომინაციაში ქართული ცეკვა „სამაიას“ შესრულებისთვის (პედაგოგები - მზია ფუტკარაძე, მარიკა სიხარულიძე). სახასიათო ცეკვის ნომინაციაში მეორე ადგილი მოიპოვეს სკოლის მეშვიდეკლასელებმა ბასკების ცეკვის შესრულებისთვის (პედაგოგი - ეკატერინე ღლონტი). მეორე ადგილი მოიპოვა ცეკვა „მთიულურისთვის“ სკოლის მე-5, მე-7 და მე-8 კლასების ნაკრებმა (პედაგოგი - მზია ფუტკარაძე). ბალეტ „ბაიადერადან“ ცეკვა „ჯამპეს“ შესრულებისთვის მე4-მე-8 კლასელებს მიენიჭათ მეორე ადგილი (პედაგოგი - ნატალია მარტიროსიანი).

„კლასიკური ცეკვის“ ნომინაციაში ვარიაციის „ჩინური თოჯინა“ შესრულებისთვის 7-12 წლის ასაკობრივ კატეგორიაში მეორე ადგილი მოიპოვა დუეტმა (ანეტი ანთაძე და ლილე ჯინჭარაძე, პედაგოგი - ნატალია მარტიროსიანი). ამავე ასაკობრივ კატეგორიაში ასევე მეორე ადგილი დაიმსახურა ანა ბზეკალავასა და მარიამ ქათამაძის დუეტმა ფრაგმენტის შესრულებისთვის ბალეტიდან „ოქროს თევზები“ (პედაგოგი - ნატალია მარტიროსიანი). მეორე ადგილი მოიპოვა კლასიკური ცეკვის ნომინაციაში ელენე ბარათაშვილმაც ვარიაციით „ვესტალკა“. მან დუეტში ლილე ასლანოვასთან ერთად შეასრულა ასევე, ფრაგმენტი ბალეტიდან „ძვირფასი ქვები“ (საქართველოს დამსახურებული პედაგოგი ანი ფირცხალაიშვილი) და აქაც

მეორე ადგილი მოიპოვეს კლასიკური ბალეტის ნომინაციაში. კიდევ ერთი ჯილდო ამ ნომინაციაში დაიმსახურა მეშვიდეკლასელმა ნუცა ბერიძემ (მეორე ადგილი) ვარიაციისთვის ბალეტიდან „ფარაონის ქალიშვილი“ (პედაგოგი - ეკატერინე ღლონტი).

ნომინაციაში „თანამედროვე ცეკვა“ პრიზები შემდეგნაირად გადანაწილდა: მერვეკლასელმა ელენე კარაკეშიშიანმა ცეკვისთვის „ემოცი“ - მესამე ადგილი, ხოლო მეორე ადგილი ტრიომ (ელენე ბარათაშვილი, ლილე ასლანოვა და ანა ჭოხონელიძე) ცეკვისთვის „ყველაფრის მიღმა“ მოიპოვა (პედაგოგი - ანი ფირცხალაიშვილი).

ამ საკმაოდ წონად გამარჯვებებთან ერთად სასიხარულოა ისიც, რომ ფესტივალში მონაწილეობის შედეგად ბათუმის კლასიკური ბალეტის სკოლამ მოწვევა მიიღო ესტონეთის საბალეტო სკოლიდან კონკურსზე, რომელიც ტალინში მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება. როგორც სკოლის დირექტორმა ირმა მსხალაძემ გვითხრა, აუცილებლად მიიღებენ ამ ფესტივალში მონაწილეობას და, ვფიქრობთ, ახალი საამაყო მიღწევებით დაგვიბრუნდებიან. ირმა მსხალაძე ფიქრობს, რომ რიგის კონკურს-ფესტივალში მონაწილეობის ერთ-ერთი უდიდესი პლუსია ერთობლივ მასტერკლასებში მონაწილეობა, რომლებშიც ახალგაზრდა ქართველი ბალერინები ამერიკის, გერმანიის, ლატვიის საბალეტო სკოლების მოსწავლეებთან ერთად გადიოდნენ პროგრამას, რასაც წარმატებულად გაართვეს თავი.

ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის კლასიკური ბალეტის სკოლა კონკურსში მონაწილეობის სრულად დაფინანსებისთვის, თანადგომისთვის მადლობას უხდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, პირადად მაია ხაჯიშვილს, კულტურის დეპარტამენტს.

მარი მიდასელი